



]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2225
24/06/2016

2225-01-4-201606241641



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში
სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების, საკონკურსო პირობებით მოგებული ლოტების გამოვლენის ფორმულის, საცხოვრებელი ფართის მიმართ სოციალური საცხოვრისის ტექნიკური მოთხოვნების, სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის მონაწილის საკვალიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №133 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობაზე.

2.ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსი ჩატარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2016 წლის 11 ივლისს, 12 საათზე.

3.ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება იწარმოებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საკრებულოს სხდომათა დარბაზში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ორგანიზებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი დროებითი კომისიის აპარატის მიერ 2016 წლის 11 ივლისს, 10 საათიდან 12 საათამდე.

4.ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსის ჩატარების წესი, საკონკურსო პირობები და საცხოვრებელი ფართების შესყიდვის ფორმები, საკონკურსო პირობებით მოგებული ლოტების გამოვლენის ფორმულა, სოციალური საცხოვრისის ტექნიკური მოთხოვნები საცხოვრებელი ფართის მიმართ, სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის მონაწილის საკვალიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალი განსაზღვრულია „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების, საკონკურსო პირობებით მოგებული ლოტების გამოვლენის ფორმულის, საცხოვრებელი ფართის მიმართ

სოციალური საცხოვრისის ტექნიკური მოთხოვნების, სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსის მონაწილის საკვალიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №133 დადგენილებით.


5. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალე პირადად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრძის ქ. №11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.kutaisi.gov.ge).

8. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი